საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/70 **კოდიფიცირებული 24.10.2017 ცვლილებ.**

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საქართველოს შრომის კოდექსის", ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესსამსახურისა და გაზეთის ,,ბათუმის უნივერსიტეტი" რედაქციის რეორგანიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ჩამოყალიბებისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N7 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/410 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის რეორგანიზაციის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/411 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N9 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409 ბრძანების, ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 სექტემბრის N02-02-01/6 ბრძანების, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის ცვლილებებთან დაკავშირებით გასატარებელ

ღონისძიებათა შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/412 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი და შესაბამისი ინფორმაცია (საკონკურსო თანამდებობების, თანამდებობრივი სარგოების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაოთა აღწერილობის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ) **დანართი 1**-ის შესაბამისად გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

2. დამტკიცდეს კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი განცხადების (ანკეტის) თანდართული ფორმა **(დანართი 2)** და განისაზღვროს საკონკურსო ვადები შემდეგნაირად:

ა) კონკურსანტების მიერ განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2017 წლის 16 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით;

,,ბ) კონკურსის პირველი ეტაპი - საკონკურსო საპროცედურო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება/გადარჩევა - 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით;

გ) კონკურსის მეორე ეტაპი - ტესტირება (კონკურსანტის მიერ ანკეტაში მითითებული უცხო ენისა და საკონკურსო თემატიკის ცოდნის შესაფასებლად) - 2017 წლის 6 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში (ტესტირების ზუსტი თარიღის, ადგილის და დროის შესახებ კონკურსანტს ეცნობება ერთი დღით ადრე, ავტობიოგრაფიაში მითითებული ელექტრონული მისამართის ან/და სატელეფონო შეტყობინების საშუალებით);

დ) კონკურსის მესამე ეტაპი - კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან - 2017 წლის 16 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით (გასაუბრების ზუსტი თარიღის, ადგილის და დროის შესახებ კონკურსანტებს ეცნობებათ ერთი დღით ადრე, ავტობიოგრაფიაში მითითებული ელექტრონული მისამართის ან/და სატელეფონო შეტყობინების საშუალებით);

ე) კონკურსის შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - 2017 წლის 21 ნოემბერი;

ვ) კონკურსის შედეგებზე სააპელაციო საჩივრის წარდგენა - 2017 წლის 22 ნოემბერი (ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე პერიოდში, შესვენება 13:00-14:00 სთ-მდე);

ზ) სააპელაციო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვა - 2017 წლის 23 -24 ნოემბერი;

თ) კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - 2017 წლის 27 ნოემბერი.“ **(შევიდა ცვლილება 24.10.2017 წლის ბრძანებით)**

3. კონკურსში გამარჯვებული პირის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2017 წლის 1 დეკემბრიდან.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია **(დანართი 1)**, წინამდებარე ბრძანება, წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5, N7 და N9

გადაწყვეტილებები, საკონკურსო თანამდებობების სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის ბრძანებები N02-06/409, N02-06/410 და N02-06/411 ბრძანებები საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების და სამართლებრივი აქტების ველებში).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2017 წლის 11ოქტომბრის N01-11/70 ბრძანების
დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ) აცხადებს კონკურსს ბსუ-ს ზოგიერთ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შემდეგი თანამდებობების (დამხმარე პერსონალი) დასაკავებლად:

1.1. **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი** -ერთი საშტატო ერთეული (სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/410 ბრძანების დანართის 2.2. პუნქტით);

1.2. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის **სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი** - 1 საშტატო ერთეული (სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/411 ბრძანების დანართის 2.3. პუნქტით);

1.3. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის **სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი** - 1 საშტატო ერთეული (სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/411 ბრძანების დანართის 2.4. პუნქტით);

1.4. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის **კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი** - 1 საშტატო ერთეული (სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/411 ბრძანების დანართის 3.3. პუნქტით);

1.5. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის **კულტურისა და სპორტის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი** - 1 საშტატო ერთეული (სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/411 ბრძანების დანართის 3.4. პუნქტით);

1.6. **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტი** - 1 საშტატო ერთეული (სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409 ბრძანების დანართის 2.1. პუნქტით);

1.7. **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტი** - 1 საშტატო ერთეული (სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409 ბრძანების დანართის 2.2. პუნქტით);

2. საკონკურსო თანამდებობებზე სახელფასო ანაზღაურება შეადგენს: ა) მთავარი სპეციალისტის - 950 ლარს; ბ) წამყვანი სპეციალისტის - 700 ლარს; გ) სპეციალისტის - 600 ლარს.

3. საკონკურსო თანამდებობების სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები (2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409, N02-06/410 და N02-06/411) განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, კონკურსის გამოცხადების შესახებ წინამდებარე ბრძანებასთან ერთად.

4. საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად განისაზღვრება შემდეგი საკვალიფიკაციო და ძირითადი მოთხოვნები:

4.1. **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტისათვის:**

ა) უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი/რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა) ან სოციალური მეცნიერებების (მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა/საზოგადოებრივი ურთიერთობების) მიმართულებით მიღებულ განათლებას);

ბ) უცხო ენის (ინგლისური - მიენიჭება უპირატესობა, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ **B2 დონეზე ცოდნა;**

გ) არანაკლებ 2 წლის სამუშაო გამოცდილება (მსგავს პოზიციაზე ან განათლების სისტემაში);

დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms.Word, Ms.Excel, Ms.Power Point, Outlook) კარგად ცოდნა;

ე) კომუნიკაციის, დროის მართვის, გამართული მეტყველების, ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის, გუნდში მუშაობის უნარები და ორგანიზებულობა;

ვ) შემდეგი **საკონკურსო თემატიკის ცოდნა:** ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი (მე-IV-VI თავები), ბსუ-ს წესდება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მე-III თავი), ,,პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ' საქართველოს კანონი (I-V თავები), ,,სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" საქართველოს კანონი, ბსუ-ს შინაგანაწესი, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება და ამ სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობა (თემატიკა განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე).

4.2. **სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მთავარი სპეციალისტისათვის:**

ა) უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება განათლების, ბიზნესის ადმინისტრირების, ჰუმანიტარული, სამართლის ან სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მიღებულ განათლებას);

ბ) უცხო ენის (ინგლისური - მიენიჭება უპირატესობა, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;

გ) არანაკლებ 2 წლის სამუშაო გამოცდილება (მსგავს პოზიციაზე ან/და განათლების სისტემაში);

დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms.Word, Ms.Excel, Ms.Power Point) კარგად ცოდნა;

ე) კომუნიკაციის, დროის მართვის, გამართული მეტყველების, ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის, გუნდში მუშაობის უნარები და ორგანიზებულობა;

ვ) შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი (მე-IV-VI თავები), ბსუ-ს წესდება, ბსუ-ს შინაგანაწესი, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და

სპორტის სამსახურის დებულება და ამ სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობა (თემატიკა განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე).

4.3. **სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წამყვანი სპეციალისტისათვის:**

ა) უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება განათლების, ბიზნესის ადმინისტრირების, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მღებულ განათლებას);

ბ) უცხო ენის (ინგლისური - მიენიჭება უპირატესობა, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა;

გ) სამუშაო გამოცდილება (მსგავს პოზიციაზე ან/და განათლების სისტემაში);

დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms.Word, Ms.Excel, Ms.Power Point) კარგად ცოდნა;

ე) კომუნიკაციის, დროის მართვის, გამართული მეტყველების, ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის, გუნდში მუშაობის უნარები და ორგანიზებულობა;

ვ) შემდეგი **საკონკურსო თემატიკის ცოდნა:** ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი (მე-IV-VI თავები), ბსუ-ს წესდება, ბსუ-ს შინაგანაწესი, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება და ამ სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობა (საკონკურსო თემატიკა განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე).

4.4. **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტისათვის:**

ა) უმაღლესი განათლება (კომპიუტინგის/ინფორმატიკის დარგში);

ბ) არანაკლებ 2 წლის სამუშაო გამოცდილება **(მსგავს პოზიციაზე ან განათლების სისტემაში);**

გ) ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა;

დ) შემდეგი კომპიუტერული უნარ-ჩვევები: სერვერული ოპერაციული სისტემების (windows, linux) კონფიგურირება; საქსელო მარშრუტიზატორების, სვიჩების და wi-fi აპარატების მართვა (cisco, mikrotik, ruckus); კომპიუტერული ტექნიკის (პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები, wi-fi აპარატები) და პროგრამული უზრუნველყოფის (ოპერაციული სისტემა windows, საოფისე პროგრამები) მართვა;

ე) კომუნიკაციის, დროის მართვის, გამართული მეტყველების, ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის, გუნდში მუშაობის უნარები და ორგანიზებულობა;

ვ) შემდეგი **საკონკურსო თემატიკის ცოდნა:** ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი (მე-IV-VI თავები), ბსუ-ს წესდება, ბსუ-ს შინაგანაწესი, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება და ამ სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობა (საკონკურსო თემატიკა განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე).

4.5.**საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტისათვის:**

ა) პროფესიული/უმაღლესი განათლება კომპიუტინგის/ინფორმატიკის დარგში (დასაშვებია ამ მიმართულებით ბსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა მონაწილეობაც);

ბ) შემდეგი კომპიუტერული უნარ-ჩვევები: კომპიუტერული ტექნიკის (პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები, wi-fi აპარატები) და პროგრამული უზრუნველყოფის (ოპერაციული სისტემა windows, საოფისე პროგრამები) მართვა;

გ) კომუნიკაციის, დროის მართვის, გამართული მეტყველების, ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის, გუნდში მუშაობის უნარები და ორგანიზებულობა;
დ) შემდეგი **საკონკურსო თემატიკის ცოდნა:** ბსუ-ს წესდება, ბსუ-ს შინაგანაწესი, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება და ამ სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობა (თემატიკა განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე).

5. კონკურსანტებმა **2017 წლის 16 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:**

ა) კონკურსანტის განცხადება (ანკეტა) - შევსებული ბრძანების თანდართული ფორმის შესაბამისად **(დანართი 2)**;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი საფეხურის განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს ორი გვერდისა);

ე) სამუშაო გამოცდილების ამსახველი ცნობა;

ვ) სხვა დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო ან/და ძირითადი მოთხოვნების დასადასტურებლად(არსებობის შემთხვევაში).

6. კონკურსანტებმა განცხადება (ანკეტა) და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ფოსტის - bsu-hr@bsu.edu.ge მეშვეობით, დაგვიანებით მიღებული ან არასრული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და კონკურსანტი პირველივე ეტაპზე მოიხსნება კონკურსიდან. გასაუბრებაზე დაბარების შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დადგენილ ვადაში მის მიერ ელექტრონულად გადმოგზავნილი დოკუმენტაციის დედნები, ასევე სხვა დოკუმენტაცია - საკონკურსო კომისიის (ბსუ-ს ადმინისტრაციის) მოთხოვნის საფუძველზე.

7. **კონკურსი ჩატარდება 3 (სამ) ეტაპად:**

7.1. პირველ ეტაპზე - კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება/გადარჩევა;

7.2. მეორე ეტაპზე - საკონკურსო თანამდებობისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო და ძირითად მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის დადგენის მიზნით ტესტირება იმ კონკურსანტებთან, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსის პირველ ეტაპს;

7.3. მესამე ეტაპზე - საკონკურსო თანამდებობისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო და ძირითად მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის დადგენის მიზნით გასაუბრება იმ კონკურსანტებთან, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსის მეორე ეტაპს.

8. კონკურსთან დაკავშირებით ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსდება შემდეგი ინფორმაცია:

ა) იმ პირთა შესახებ, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსის პირველ, მეორე და მესამე ეტაპს;

ბ) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების შესახებ;

გ) სხვა ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის/ბსუ-ს ადმინისტრაციის გადაწყვეტილების შესაბამისად.

9. კონკურსანტები, მათ მიერ საკონკურსო განცხადებაში (ანკეტაში) მითითებულ ელექტრონულ მისამართებზე ან ტელეფონის საშუალებით ბსუ-ს ადმინისტრაციიდან მიიღებენ შემდეგი შინაარსის ინფორმაციას (შეტყობინებას):

   ა) საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებით ინფორმაციას;

   ბ) დოკუმენტების გადარჩევის ეტაპზე კონკურსიდან მოხსნის, ტესტირებაზე ან გასაუბრებაზე დაბარების შესახებ;

   გ) კონკურსის შედეგის (დადებითი ან უარყოფითი) შესახებ;

   დ) კონკურსის გასაჩივრების შემთხვევაში აპელაციის შედეგის შესახებ;

   ე) საკონკურსო თანამდებობაზე დანიშვნის სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ.

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2017 წლის 11ოქტომბრის N01-11/70 ბრძანების
დანართი 2

კონკურსანტის განცხადება (ანკეტა)

1. **კონკურსანტის პირადი ინფორმაცია:**

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	

2. **მიღებული განათლება:**

საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	მინიჭებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია

3. **სამსახურებრივი გამოცდილება**

თარიღი	დაწესებულების დასახელება, დაკავებული თანამდებობა და სამუშაოს მოკლე აღწერა

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისი მიმართულებით კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები და საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა (არსებობის შემთხვევაში)

თარიღი	კურისის/ტრენინგის/პროექტის დასახელება	დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი

5. **უცხო ენების ცოდნა დონეების აღნიშვნით** (მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრული უცხო ენებიდან ის ენა, რომელშიც სასურველია ტესტირების გავლა).

1	
2	

6. **კომპიუტერული უნარები**

1	
2	
3	

7. **სხვა სახის აქტივობა და ინფორმაცია (კონკურსანტის შეხედულებით)**

№	აქტივობის დასახელება

8. **კონკურსანტის განცხადება მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) ნამდვილობაზე და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე:**

ვადასტურებ წინამდებარე განცხადებაში (ანკეტაში) აღნიშნული ინფორმაციისა და ჩემ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს და თანხმობას ვაცხადებ ბსუ-სთან ჩემი შრომითი ურთიერთობის პერიოდში ბსუ-ს მიერ დამუშავებული იქნეს ჩემი პერსონალური მონაცემები შრომითი ურთიერთობის ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა შემდეგი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად ----------

(მიუთითეთ **რომელიმე ერთი** საკონკურსო თანამდებობა და შესაბამისი ქვეპუნქტი, კონკურსის გამოცხადების ბრძანების დანართის 1.1. დან 1.7. ჩათვლით პუნქტებიდან)

განცხადებას (ანკეტას) თან ერთვის: (მიუთითეთ დასახელება და ფურცლების რაოდენობა)

1. სამოტივაციო წერილი - ფურც;
2. აკად. ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტ. დოკუმენტი -- ფურც;
3. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა -- ფურც;
4. პირადობის მოწმობის ასლი -- ფურც;
5. სხვა დოკუმენტაცია ---- ფურც.

.....

ხელმოწერა,

თარიღი